საქართველოს მემარცხენე სოც. დემ. პარტია.

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ცრიგუნა“ ღირს
თვეში 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კარ. ჩვეულებრივ ნომერში
4 „ 15 „
სამგლეხოებისა და ფანდურებისა
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩვეულებ.
4 „ 1 მ. — „

№ 620 ოთხშაბათი, ნოემბრის 14, 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნაბიჯი

პარტიულ ყრილობის მუშაობის შედეგები უკვე ხელთ გვაქვს. ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი მთავარ საკითხებზე ადასტურებს პარტიულ ორგანიზაციების პოლიტიკურ სიმწიფეს და რევოლიუციონურ სიმტკიცეს. როგორც ვიცით, ყრილობის წინაშე იდგა ერთი გენერალური ამოცანა—კომპარტიასთან ორგანიზაციულად გაერთიანება. ამ ძირითადი ამოცანის პარტიულ მასსის მიერ შიზანშეწონილ გადაწყვეტაში ძნელი იყო ეჭვის შეტანა. განსაკუთრებით ეს მის შემდეგ, რაც მოხდა. საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში საზოგადოდ და რევოლიუციონურ ძალთა განწყობილებაში—კერძოთ.

ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების გათვალისწინება იძლევა სრულ არგუმენტაციას მოწინააღმდეგე რაზმების გაერთიანების. ამ ჟამად მსოფლიოში ხდება უდიდესი მოვლენა: განჯგუფვა, ერთმანეთისაგან გათიშვა, სასტიკი კლასიფიკაცია ისტორიულად შტრულად განწყობილ ელემენტების. კაპიტალისტური ბურჟუაზია დიდებანია ახდენს საკუთარ რიგების მობილიზაციას. მართალია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის დარღვეულია მეგობრული ურთიერთობა, მშვიდობიანი სულიერი განწყობილება, ინტერესთა ჰარმონია, მაგრამ ყოველივე ეს არ ჰნიშნავს ისეთ რწმენის შემუშავებას, რომ ბურჟუაზიული კაცობრიობა დაქსასული შეხვდება კაპიტალისტურ წეს-წყობილების ბოლოს მიმღებ მოვლენას—მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას. ჩვენ ვვაქვს ბურჟუაზიის სამსოფლიო ერთიან ხელისუფლების განმტკიცების ცდის მაგალითი. თანამედროვე ფაშიზმი ტიპიური გამოხატულებაა საერთაშორისო კაპიტალის კოსმოპოლიტურ მიდრეკილების. ამერიკის კაპიტალის ინტერესი ეწინააღმდეგება ევროპის და იაპონიის კაპიტალის ინტერესებს. მაგრამ მსოფლიო კაპიტალის სულისკვეთება ახდენს კერძო კაპიტალისტურ ქვეყნების განკერძოებულ ინტერესების ლიკვიდაციას და უმორჩილებს მას მთელი ქვეყნის მილიონ ბურჟუაზიულ ბრძოლის სტრატეგიას საერთაშორისო კომუნიზმის წინააღმდეგ. მაშასადამე, იმის თქმა, რომ მსოფლიო მეურნეობის ინტერესები დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია აბსოლიუტურად, არაა მართალი ყოველ დროისა და პირობებისათვის. კომუნისტურ რევოლიუციის ჩრდილმა კაპიტალისტური ქვეყნიერება აუცილებელ საფრთხის წინაშე დააყენა. კაპიტალის მესვეურები ახალი გზის, ბრძოლის ახალი მეთოდების ძიებას შეუდგნენ. ეგ ახალი გზა, კაპიტალის ბატონობის ახალი სახე ფაშიზმია, რომელიც უარყოფს რა პარლამენტარულ ლაზლანდარობას, ამტკიცებს ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურას.

მეორე მხრით, სრული გაერთიანების ტენდენციას ვხედავთ რეფორმისტულ მიმდინარეობათა რიგებში. ყვითელ ინტერნაციონალების გაერთიანება ამის უტყუარი ილუსტრაციაა. მართალია, გერმანიაში ადგილი აქვს მენშევიკურ ძალების დიფერენციაციას, მაგრამ ეს ხდება სწორედ იმ მიმართულებით, რომელიც გამოხატავს ორ მოწინააღმდეგე ბანაკის მკაცრად დაპირისპირებასა და საშუალო ხაზების გამონახვის, საშუალო გზაზე შეჩერების შეუძლებლობას. გერმანიის მენშევიკური პარტიის მასსა უკვე იძლევა პროლეტარული და ბურჟუაზიული მწკრივების ლოგიკურად დაპირისპირების სურათს. სოც.-დემ. მარჯვენა ფრთა თანდათან იხრება იტალიურ ფაშიზმისაკენ, ხოლო მარცხენა ფრთა—მსოფლიო კომუნიზმისაკენ. ერთი სიტყვით, ევროპის პოლიტიკურ პარტიათა ვითარებაში საკმაო სიმკაცრით სჩანს ან ერთ მებრძოლ კოალიციისაკენ აშკარა გადახრა, ან მეორე მოწინააღმდეგე ბანაკთან სრული გაერთიანების, გათქვეფის მიდრეკილება.

რა გზას უნდა დაადგეს ის პოლიტიკური მიმართულება, რომელიც იბრძვის არსებულ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების წინააღმდეგ? უეჭველად შემდეგს: საერთაშორისო კაპიტალიზმის რევოლიუციონურის წესით დანგრევა-განადგურების გზას. იქმნება ბურჟუაზიული მთლიანი ფრონტი, უნდა შეიქმნეს პროლეტარული გაფოლადებული ბანაკი. კაპიტალისტურ ძალებს პროლეტარული ძალები უნდა დაუპირისპირდეს. პირველს მეთაურობს თანამედროვე ფაშიზმი და სხვა და სხვა ბურჟუაზიული ორგანიზაციები, ხოლო მეორეს—საერთაშორისო კომუნისტური პარტია და მისი გენერალური შტაბი—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. მაშასადამე, არსებულ პირობებში და მოწინააღმდეგე ძალთა განწყობილებაში სავსებით სამართლიანად და საფუძვლიანად უნდა ჩაითვალოს მებრძოლ კოალიციებიდან განცხადება: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია.

პარტიული ყრილობა სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა ამ საკითხს გადაწყვეტას. მართალია, ჩვენ არასოდეს უყოფილვართ რეაქციის ბანაკში რევოლიუციის წინააღმდეგ. ვიდექით მუშათა კლასის რიგებში და ვაძლიერებდით მშრომელთა დიქტატურის მაჯისცემას. ეს ცხადია და საყოველთაოდ უდაო დებულება. მაგრამ რევოლიუციასთან ყოფნა ყოველთვის არ ნიშნავს რევოლიუციის ქარცეცხლში ენერგიული და მაქსიმალური ძალლონის დაუზოგველობას. ყრილობამ ამ შემთხვევაში გადადგა რადიკალური ნაბიჯი. მან ერთხმად მოითხოვა, ერთსულოვნად გადასწყვიტა რევოლიუციონურ ქარბუქის უფსკრულში შეეტრა და თავის მოყრა პარტიულ ძალების კომინტერნის და კომპარტიის უშუალო განკარგულების, უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

მაგრამ მარტო გარეშე, ობიექტიური ვითარებით არ არის გამოწვეული ჩვენი ნაბიჯი. არავითარ გარემოებას არ შეუძლია სოციალურ ჯგუფების ორგანიული გაერთიანება, თუ არ არის ამ ჯგუფებში შინაგანი სულიერი და ფსიქოლოგიური ფასიათის ერთგვაროობა. კომპარტიასთან ჩვენ გვაკავშირებდა არა მარტო პოლიტიკური მომენტი და პრაქტიკული საკითხები. ჩვენსა და კომუნისტებს შორის უკვე არსებობდა იდეური ნათესაობა იმდენად, რამდენად კომუნისტური პარტია უარყოფდა „კონცენტრაციონ—პროლეტარიზაციის“ და „ერთიანულ ნიჰილიზმის“ კაუცკიანისტურ მარქსიზმს და მსოფლმხედველობის საძირკვლად იღებდა რევოლიუციონურ და ინტერნაციონალურ, ლენინისტურ მარქსიზმს. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა მტკიცე კონტაქტის განმტკიცება ჩვენსა და კომპარტიას შორის. სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენ ყოველ პირობებში ვერ შეუთანხმდებით ისეთ ძალებს, რომელთა მოქმედება მისაღებია როგორც პრაქტიკა და არა პრაქტიკაც და თეორიაც ერთდროულად. კომპარტიასთან ჩვენ ვიყავით იმიტომ, რომ მასში ვხედავდით იდეურ ნათესაობას ლენინისტურ მარქსიზმის სახით.

ყრილობის გადაწყვეტილება შეიცავს: დღეს ბრძოლაა არა თეორიულ ნიადაგზე, არამედ უაღრესად პრაქტიკულზე. ვინც იზიარებს რევოლიუციონურ პრაქტიკას, რევოლიუციონურ შემოქმედებას, მან უნდა გაიზიაროს რევოლიუციონური თეორიაც. ყრილობამ სავსებით დაადასტურა ასეთი აზრის ჭეშმარიტება.

ქართულ საზოგადოებრივ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯის შესახებ. მემარჯვენე ელემენტები უკმაყოფილების გრძნობის დემონსტრაციას ახდენენ. ცხადია, მათთვის არ იქნებოდა და არც არის სასურველი ჩვენი გადაწყვეტილება. კომპარტია რევოლიუციის ავანგარდია. ჩვენი რიგების კომპარტიის რაზმებთან გაერთიანება ამ ავანგარდის გაძლიერებაა. აშკარაა, შავრაზმულ და ანტისაბჭოთა ჯგუფებისათვის ჩვენი ნაბიჯი მიუღებელია და არა სასურველი.

ჩვენ ვიცავთ და ვაძლიერებთ ჯერ კიდევ 1919—20 წ. წ. და განსაკუთრებით—1921 წლიდან დაჭერილ პოლიტიკურ პოზიციებს. ჩვენი ნაბიჯი გადადგმულია საერთაშორისო კომუნიზმისაკენ. არც ერთი გოჯით ცოცხლები არ დაგიხევთ უკან.

ტფილისის საბჭოს არჩევნებზე

საბჭოთა ხელისუფლებას დაახლოებით სამი წლის ისტორია აქვს საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა და მრავალ მნიშვნელოვან საქმეებს ჩაუყარა საფუძვლები.

საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელსაც მენშევიკური პარტია უნერგავდა და ზრდიდა ანტისაბჭოთა იდეების ნიადაგზე, საბჭოთა ხელისუფლებას გაეცნო პრაქტიკულს ნიადაგზე, მის საქმიანობის პროცესში. ძნელი არის ტრადიციებისა და წლობის განმავლობაში შეთვისებულ აზრებისაგან განთავისუფლება ხალხისათვის ერთი ხელის მოსმით. უნდა ვსთქვათ, რომ პირველ ხანებში მენშევიკებმა შესძლეს მასის მოტყუილება და თავის მხარეზე გადაბირება.

მაგრამ სამი წლის პრაქტიკამ და საქმიანმა მოღვაწეობამ სავსებით დაარწმუნა მშრომელი მასა, რომ საბჭოთა პოლიტიკა და მისი სამოღვაწეო პროგრამა არის ერთად ერთი სწორი და აუცილებლად მისაღები მშრომელთა ინტერესებისათვის.

მენშევიკები ეუბნებოდნენ ხალხს—კომუნისტური პარტია გააჩანაგებს ჩვენს ერს, მოსპობს მის კულტურასა დაშლის მის სახელმწიფოებრივობას. დღეს სამი წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა და მთავრობას იმდენი არ გაუკეთებია ქართველი ხალხის კულტურულ აყვავებისა და წარმატებისათვის, რამდენიც გააკეთა კომპარტიამ. კულტურულ ფრონტზე ბრძოლა და გამოცოცხლება კულტურული ძალებისა მორიგ ამოცანად გადაიქცა ჩვენი ხელისუფლებისათვის. მენშევიკების ბატონობის რეჟიმის დროს არც კულტურის ერთ დარგში არ წარმოებდა ისეთი ინტენსიური და მიზანშეწონილი შუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს აშკარად. საბჭოთა წყობილება ქართველი ხალხის კულტურულ აყვავების აუცილებელი იარაღი შეიქმნა, მშრომელმა მასამ ეს შეიგნო, შეითვისა და კიდეც შეიყვარა ახალი ხელისუფლება.

ეკონომიურად ბოლშევიზმი დაარბევს საქართველოს, მოსპობს საწარმოო ძალებსა და გაანადგურებს ჩვენს მეურნეობას—გაიძახოდენ მენშევიკები.

დღეს ყველასათვის აშკარა არის ამ სიყალბის მთავარი შინაარსი და მენშევიკების პოლიტიკის მთავარი მიზანი.

საბჭოთა ხელისუფლემამ თავისი სამოღვაწეო ბრძოლის ასპარეზად გადააქცია სამეურნეო ფრონტი და მეტად საგრძნობ გამარჯვებას მიაღწია ხალხის ეკონომიურ აყვავებისა და გაუმჯობესების საქმეშიდაც. სოფლის მშრომელმა გლეხობამ მიიღო მიწა და მისი სრული ბატონ-პატრონი გახდა; ქალაქის წარმოება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და არსებითად გაუმჯობესდა მუშის ეკონომიური მდგომარეობა.

ახალი ხელისუფლების გამარჯვებამ კულტურულს და ეკონომიურს ფრონტზე გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს და გამოაცალა მათ არსებობის ნიადაგი. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა საბჭოთა წყობილებისა და კომპარტიის პოლიტიკის დიდ ღირებულებაში და ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას. აი სწორედ ამ პრაქტიკულ ფრონტზე გამარჯვებამ გამოიწვია ამ ანტი-რევოლიუციონური პარტიის დაშლა და მისი მშრომელი ელემენტების კომპარტიის რიგებში გადასვლა.

მენშევიზმი, როგორც გარკვეული სისტემა და პროგრამის მატარებელი პარტია აღარ შეესაბამება ახლად ცხოვრების ვითარებას, იგი რამოდენიმე ათეული წლებით დაშორდა მომენტსა და ცხოვრების შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა. მენშევიკური პარტიის დაშლა და მისი ორგანიზაციების აღმოფხვრა, ერთი აუცილებელი თავდები არის საქართველოში ნორმალური პირობების შესაქმნელად და ქართველი ხალხის საღ საამშენებლო გზაზე დაყენებისა.

ამ დღეებში დაიწყება ქალაქ ტფილისისა და მისი მაზრის საბჭოთა არჩევნები. წარსულ არჩევნებში ყოველთვის დიდი წარმატებით იმარჯვებდა ყომუნისტური პარტია და ის ჯგუფები, რომელნიც საბჭოთა ნიადაგზე იყვნენ. დღეს, როდესაც მენშევიკური რეაქცია ფაქტიურად განადგურებულია სხვა ანტისაბჭოთა ძალებთან ერთად, როდესაც მასის ზეგნეშამ და თვით შემეცნებამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის სასარგებლოდ, ტფილისის მშრომელი მასა და პროლეტარული ელემენტები უფრო აღფრთოვანებთ და ერთსულოვნობით მიანიჭებს გამარჯვებას იმ პარტიას, რომელსაც ხელთ უპყვრია იარაღი მშრომელთა განთავისუფლების არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავკასიაში, რომელიც ენერგიულად იბრძვის მთელს განმავლობაში პროლეტარიატის ბატონობის გასამტკიცებლად.

ტფილისის საბჭოთა არჩევნებისთვის

ტფილისის საბჭოს არჩევლებს ამ ნაბიჯი და მიზანი ადასტურებენ

მენშევიკების დამხობის შემდეგ ტფილისის მშრომელთ მეოთხეჯერ ეძლევა შემთხვევა საბჭოში თავისი დეპუტატების არჩევით გამოარკვიონ თავისი ნებისყოფა და მიუთითონ იმ გზაზე, რომლითაც სურთ მათ უკეთესი მომავლისაკენ წასვლა.

ტფილისის საბჭოს სამივე წინანდელი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა კომუნისტური იყო. ტფილისისა და მაზრის მშრომელებმა თავისი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობა ჩააბარეს კომუნისტურ პარტიას, რადგან მასში და მხოლოდ მასში ხედავდნენ მშრომელთა ინტერესების პუშმარიტ დამცველს, მუშათა საქმისათვის მტკიცე მებრძოლს, გამოცდილ ბელადს, რომელსაც გაბედულთ, მედგრათ მიუყვეს პროლეტარიატი გამარჯვებისაკენ, კომუნიზმისაკენ. როცა თვალს ვადევნებთ ახლო წარსულს, როცა ტფილისში განუყოფლად ბატონობდნენ მენშევიკები და ვადარებთ მას ელექტორატს დღეს, არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ ის მიღწევები, რომლებიც ეკუთვნიან უკანასკნელი წლების საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

მართლაც რა დახვდა აქ, ტფილისში, საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას.

ნაციონალური ქაოსობა, განუწყვეტელი ომები როგორც მეზობლებთან, ისე ქვეყნის შიგნით განაპირა რაიონებთან და ანტანტის თავხედური თარეში, სრული ეკონომიური დაშლა, ხალხის დოვლათის უკანასკნელი ნაშთების შეუწყალებლათ დატაცება, არავითარი მშენებლობა, არავითარი ცდა თუნდაც ერთი რომელიმე მომწიფებული სამეურნეო საკითხის გადაჭრის. მხოლოდ ჯულელის დასასელი ექსპედიციების ველური თარეში, კედიას განსაკუთრებული რაზმის თავგასულობა, ნოე რამიშვილის ანდარმული ლინჩისძიებანი, „ქალაქის მამის“ ჩხიკვიშვილის სამხეცე.

ყველაფერი ეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით აღგავა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა.

ნაციონალური ზავი, ჩვენი ქვეყნის შემადგენელ მრავალფეროვან ერების საქმიანი თანამშრომლობა, აი რა იყო გასაბჭოების პირველი შედეგები.

ჩვენ უკვე აღარ ვიკეტებით ნაციონალურ ჩარჩოებში, ჩვენ ჩვენი ინტერესები შეეერთეთ მთელი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლას და ცხოვრებას. გერმანიის რევოლიუცია ჩვენი საკუთარი, ჩვენი სასიცოცხლო ახლო საქმეა. გულუხვათ, დაუშრეტელ მდინარესავით მოდის შემოწირულებები გერმანიის მუშათა დახმარების ფონდში, ტფილისის ყველა მშრომელები, როგორც ერთი კაცი, გამოსთქვამენ სასტიკ პროტესტს და აღშფოთებას იმპერიალისტების და ფაშისტების თავხედური შეტევის გამო მუშათა კლასზე. ტფილისის საბჭო ყოველთვის პირველ რიგებშია.

იმავე დროს, არის რა დიადი საერთაშორისო ოჯახის წევრი, ტფილისის საბჭო მთელი კომუნისტურ პარტიასთან ერთად მტკიცედ ირწმუნებელია ამაში, რომ ძმობა ერებს შორის ემყარება არა უსტრეს და უმფრო სუსტების დამორჩილებაზე უფროსის და უფრო ძლიერების მიერ. საერთო თანასწორ ლინისძიებებით, თითეულ ერში რა რიგ პატარა არ იყოს ჩანერგილ შესაძლებლობათა სრული განვითარებით შეიძლება მხოლოდ კომუნიზმის დიდი შენობის აგება.

ტფილისის მეურნეობა მენშევიკებმა სრულ გაღატაკებამდი მიიყვანეს. ტფილისის საბჭო დაუღალავად შუშაობდა ქალაქის რთული და ფართე მეურნეობის ყველა დარგების აღსადგენად; წყალსადენი, ელექტრონის განათება, სასაკლაოები, მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება—ყველგან ჩანს მტკიცე ხელი, ფხიზელი და მომჭირნე პატრონის თვალი.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ისე, როგორც ეს სასურველია, მაგრამ ქალაქის მეურნეობა დღითი დღე უმჯობესდება, დაწყებული დიდი საქმე—ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება, რომელიც ენერგიულად სწარმოებს და, ახლა ამის თქმა სრულის დარწმუნებით შეიძლება, ჩქარა დამთავრდება, მტკიცე ფუნდამენტს შეუქმნის ტფილისის და მაზრის მთელ მეურნეობას.

ეს წარმატება მიღებულია მხოლოდ იმ ერთსულოვნების წყალობით, რომელსაც მუდამ ეჩენდენ ტფილისის მშრომელი მასები, იმ აქტიურ დახმარების წყალობით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მუდამ ხვდებოდენ მუშებისა და გლეხების მხრივ. საქმიანი თანამშრომლობის, თანაგრძნობის და ნდობის ატმოსფერაში იზრდებოდენ და მაგრდებოდენ ჩვენში საბჭოები, ნიადაგს კარგავდენ ანტისაბჭოთა ელემენტები. ყველა ისინი, ვინც დაკავშირებულია შრომასთან, ყველა ისინი, ვისაც გული შესტკივა თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, კავშირს სწყვეტენ თავის მენშევიკურ წარსულთან და მუშაობენ საბჭოთა წყობილების გასამტკიცებლათ.

წარსული წლების გამოცდილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ერთად ერთი პარტია, რომელსაც მშრომელი მასები მიყავს გამარჯვებისაკენ, ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისაკენ,—ეს არის კომუნისტური პარტია.

ამიტომ, ტფილისის საბჭოში ახალი არჩევნების დროს, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი მასების ინტერესები, ვისაც ხურს მთელი ქვეყნის მუშებთან ერთად შექმნას ახალი უკეთესი მომავალი, ყველა მშრომელებმა, როგორც ერთმა კაცმა, ხმა უნდა მისცენ კომუნისტური პარტიის კანდიდატებს!

დეე, ტფილისის საბჭოს წითელმა დროშამ განაგრძოს ამაყად ფრიალი კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

არც ერთი ხმა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

არც ერთი ხმა იმათ, რომელთაც უპარტიობის ნიღაბის ქვეშ ხურთ დაემალონ ბრძოლას.

ტფილისის საბჭოს არჩევნებზე

მენშევიკურ ფრაქციის ბანაკი ამ ბოლო ხანებში ეცადა ერთ-ორ ადგილ-ადგილ ანტისაბჭოთა ბრბოს ამოქმედებას. ეს ბრბო ეცადა ანტისაბჭოთა ლოზუნგებ ქვეშ ბრძოლა ეწარმოებინა

ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია!

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელებო და ყველა მშრომელებო! მედგრათ შემოკრბით ტფილისის საბჭოს გარშემო, კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი.

პრესის მიმოხილვა

ინგლის-რუსეთის ვაჭრობა.

ლონდონის გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს, რომ რუსეთ-ბრიტანეთის საზოგადოების დაარსება რუსეთის პურის გასატანად ევროპაში დიდ ინტერესს იწვევს ბრიტანეთის საქმის ხალხის წრეებში, არტურ მარშალმა, რომელმაც (ოტა ხნის წინედ ინახულა რუსეთი ინგლისის 80 სხვილი წარმოების წარმომადგენლებთან ერთად, „მანჩესტერ გარდიენის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ახალ საზოგადოების დაარსება მეტად ხელსაყრელია ინგლისისათვის. აქამდის ინგლის-რუსეთის ვაჭრობის განვითარებას დიდათ ხელს უშლიდა ის მოვლენა, რომ რუსეთი, თავისი მანეთის სტაბილიზაციის მიზნით, მეტად მოხერხებულად იცავს იმპორტის ექსპორტით დაფარვის პრინციპს. რუსეთში არ შეაქვთ არაფერი ისეთი, რის დაგროვებაც არ შეიძლებოდეს იქიდან გამოტანილი საქონლით, ამ საზოგადოების დაარსებით კი მეტად გადიდდება რუსეთის ექსპორტი. ხოლო ეს კი საშუალებას მისცემს რუსეთს იმპორტიც გაადიდოს. მარშალმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მსგავსი საზოგადოებების დაარსება გაცილებით უკეთესად გსაუმჯობესებს ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას და უკეთესად შეამცირებს უმუშევრობას, ვიდრე ყველა მთავრობის მიერ მიღებული პალიატიური ხასიათის ზომები, ყოველ შემთხვევაში, დაუმატა მარშალმა, საქმიან წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ უმუშევრობის ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი არის ინგლისსა და კონტინენტს შორის ვაჭრობის განუვითარებლობა.

რადგანაც დღევანდელს პირობებში გერმანეთთან ვაჭრობის განვითარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, ამისათვის დღევანდელი მომენტი მეტად ხელსაყრელია არამც თუ აღვადგინოთ რუსეთ-ინგლისის ვაჭრობა და ავიყვანოთ ომის წინა დროინდელ დონემდე, არამედ უფრო გავაფართოვოთ, რათა ამით დავფაროთ ინგლისის ექსპორტის ის ნაწილი, რომელიც გადიოდა გერმანეთში. თუ რუსეთის ცნობის საკითხი გადაწყდა ახლო მომავალში, რუსეთის ვაჭრობა ერთბაშად დიდის ნაბიჯით წავა განვითარების გზაზე“.

„უმჯობესია სიკვდილი“

პარიზის გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს; „მთელმა პრესამ აღნიშნა ცნობა მაროკკოში დარ-ბელ-ხამრის (არაბულად „უმჯობესია სიკვდილი“) გამოსწორებულ ციხეში მოთავსებულ 15 პატიმარის ტრაგიკული ბედის შესახებ, რომელთაც, დაჭკარგეს რა ამ ჯოჯოხეთიდან გამოსვლის იმედი, გადასწყვიტეს თვითონ მოეპოთ თავისთვის სიცოცხლე. მიუსაჯეს რა მათ დარ-ბელ-ხამრის ციხეში პატიმრობის ვადის გაგრძელება, მათ გადასწყვიტეს გაეწიად წინააღმდეგობა და მეორე დღესვე მთლათ დაამტვრიეს თავიანთ კამერების მთელი მოწყობილობა, რასაც მოჰყვა ახალი სასჯელი, მაგრამ სხვა ციხეში კი არ გადაიყვანეს. ამის შემდეგ საქმემ უფრო ჩქარი ნაბიჯით იწყო განვითარება. ორმა ტუსალთაგანმა მტკიცედ გადასწყვიტეს აღარ დაბრუნებილიყვნენ თავიანთი კამერებში და, როდესაც ისინი გაიწვიეს სასამართლოს სხდომაზედ, თავიანთი ბორკილები ესროლეს მოსამართლეებს. ამ საქციელის გამო პატიმართ გადაუწყვიტეს დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯა. ვიდრე სასამართლოს დარაზს დასტოვებდნენ, ერთმა მათგანმა განაცხადა: „თუ არ დამხვრიტეს მე თვითონ ჩამოვიხრჩობ თავს კამერაშიო“.

რაღიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობები 13 ნოემბრიდან“).

— სამხრეთ ბავარიაში დააპატიმრეს გიტლერი.

— ლონდონის ცნობით, გერმანეთის კრონპრინცი გადავიდა გერმანეთის საზღვარს.

— გერმანეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა იარრესი.

— ელიან, რომ სოც.-დემ. მოითხოვენ რეიხსტაგის მოწვევას.

— დემოკრატები თხოულობენ მთავრობისაგან პირდაპირ პოლიტიკას

— საფრანგეთს ეშინიან სარევანშოომისა

— შტრეზემანი მასიური დათხოვნით ემუქრება გაფიცულ მბეჭდავთ.

— კოტბუდში, ბრესლავში და იენში უმუშევრებმა დაარბიეს სასურსათო სავაჭროები.

— ამ ქალაქებში სწარმოებს მასიური დაპატ მრება.

— მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება.

— ტიურ ნგიის კომპარტიამ დაადგინა გამოვიდეს მთავრობიდან.

— დიურელდორფში უმუშევრებმა მოახდინეს დიდი დემონსტრაცია.

— სეპარატისტებმა საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში პფანცის ოლქი.

— კრონ-პრინცი ჩავიდა გერმანთეში.

— კარმა დაშალა ბავარიის კომპარტია.

— ბავარიაში კარის მიმართ უნდობლობა იზრდება. მისი მდგომარეობა ძლიერ შეირყა

— კომუნისტები გამოვიდნენ ტიურინგიის მთავრობიდან.

გერმანეთის ამბები

ორი დიქტატურის წინააღმდეგ.

ბერლინი. 9 ნოემბერი. ჰიტლერის აჯანყების დროს კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის მოუხმობს მუშებს დამოუკიდებელ გამოსვლისაკენ, მოწოდება ურჩევს მუშებს შექმნან მოქმედების კომიტეტები, ხელი შეუშალონ ფაშისტურ ჯარების გადაყვანას და გამოაცხადონ საერთო გაფიცვა იმ ადგილებში, სადაც ფაშისტები წინააღმდეგობას უწევენ პრესის შევიწროების გაუქმებას და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას. კომუნისტები ფიქრობენ, რომ ფაშიზმი იხრწნება შიგნიდან და აღნიშნავენ, რომ ისინი იბრძოლებენ სექტის დიქტატურის წინააღმდეგ ისევე, როგორც იბრძოდენ ისინი ჰიტლერის დიქტატურის წინააღმდეგ.

ბერლინიდან ლონდონში მიღებულ ცნობებით, შტრეზემანს დაუდასტურებია, რომ კრონპრინცის თხოვნაზედ გერმანეთში დაბრუნების შესახებ გერმანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ვერ ჰხედავს კანონიერ დამაბრკოლებელ მიზეზებს საამისოდ.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით, ჰოლლანდიის მთავრობა ოფიციალურად ადასტურებს, რომ 11 ნოემბერს დილით ყოფილი გერმანეთის კრონპრინცი გამოემგზავრა ვრინგენის ჯუნძულიდან, გადავიდა გერმანეთის ზაზღვარს და გაემართა ელისაკენ.

პარიზიდან რომში აუწყებენ, რომ ელჩთა კონფერენციამ გერმანეთის ელჩს პარიზში გადასცა საპროტესტო ნოტა, კრონპრინცისათვის დაბრუნების ნებართვის მიცემის გამო.

ვაშინგტონიდან რომში მიღებულ ცნობით, ამერიკის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა უარი სთქვას წარმომადგენლის გაგზავნაზე ექსპერტთა კომისიაში. ფიქრობენ ეს გადაწყვეტილება შედეგია საფრანგეთის მთავრობის შეურიგებელი პოზიციისა ამ საკითხში.

გერმანეთის კაბინეთის შესავსებად დაინიშნა შინაგან საქმეთა ახალი საიმპერიო მინისტრი იარრესი—უპარტიო, მაგრამ ნაციონალისტების ორიენტაციის მატარებელი.

ორშაბათს შესდგება რეიხსტაგის სოც.-დემ. ფრაქციის პრეზიდიუმის თათბირი პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად. როგორც გადმოგვცემენ სოც.-დემ. მოითხოვენ რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევას.

დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა მოსთხოვოს მთავრობას ნათელი, არა ორჭოფული „პოლიტიკა“, დემოკრატებმა შეუძლებლად სცნეს მოლაპარაკება აწარმოონ პარტიებთან, რომელნიც არა სდგანან ვეიმარის კონსტიტუციის პლატფორმაზედ.

ლონდონის ცნობათ, საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ვიდრე მიიღებდნენ ცნობას ლიუდენდორფის დამარცხების შესახებ, მოლაპარაკება სწარმოებდა, თუ რაგვარ პოზიციას დასდგომოდნენ იმ შემთხვევაში, თუ გერმანეთში მოხდებოდა მონარქისტული გადატრიალება. საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის ჩაერევა გერმანეთის საქმეში, თუ იქ გადატრიალება მოხდება. ინგლისმა უპასუხა, რომ აგი შეუერთდება საფრანგეთის ჩარევას, მაგრამ შეძლებისდაგვარად თავს შეიკავებს აქტიური გამოსვლებისაგან.

საფრანგეთის ელჩმა ბერლინში ინახულა შტრეზემანი და გადასცა, რომ საფრანგეთის მთავრობა შეშფოთებულია გერმანეთის ამბების გამო, რომლებსაც შესაძლებელია მოჰყვეს მემარჯვენე დიქტატურის დამყარება, ხოლო ეს კი, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ნიშანი ვერსალის ხელშეკრულების დარღვევისა და სარევანშო ომის სამზადისისა.

ამასთანავე ელჩმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი არა აქვს აზრად ჩაერიოს გერმანეთის შინაურ საქმეებში.

შტრეზემანმა უპასუხა, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმის საკითხი გერმანეთის შინაური საქმეა და აგრეთვე, რომ გერმანეთის საიმპერიო მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება გერმანეთის სახელმწიფოების ავტონომიას გაფართოეფის საკითხს. მან ხაზი გაუსვა, რომ უკიდურესი ტენდენციების გაძლიერება შედეგია გერმანეთის ეკონომიური კატასტროფისა, რომელიც შეეძლო თავიდან აეცილებინა მისთვის საფრანგეთის მთავრობას.

შტრეზემანის სიტყვით, მიუნხენის ამბებმა ცხადჰყო, რომ საიმპერიო მთავრობა საკმარისი ავტორიტეტით სარგებლობს.

ჰადლეში სახალხო პარტიის კონფერენციაზედ წარმოთქმულ სიტყვაში, შტრეზემანი დიდხანს შეჩერდა უმუშევრობის საკითხზე და მკვახე სიტყვებით აღნიშნა, რომ გერმანეთის ეკონომიური კატასტროფისათვის პასუხისმგებლობა ედებათ მოკავშირეებს, შემდეგ შტრეზემანმა განაცხადა, ოომ მთავრობა ენერგიულ ზომებს მიიღებს მბეჭდავთა გაფიცვის წინააღმდეგ და თუ ხვალ (11 ნოემბერს) არ განახლდა მუშაობა, მოხდენილი იქნება მასიური დათხოვნა სამსახურიდან

გენერალმა სექტმა მოითხოვა დაუყონებლივ განაახლონ მუშაობა სახელმწეფო ქალალდების ექსპედიციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება მასიური დათხოვნით.

კოტბუდში (ბრანდებურგი) პოლიციას შეტაკება მოუხდა უმუშევრებთან, რომლებმაც საპროტესტო დემონსტრაცია, დახმარებეს მიუღებლობის გამო.

ბრესლავლში უმუშევრებმა დაარბიეს მთელი რიგი სასურსათო სავაჭროებისა. სწარმოებს მასიური დაპატიმრება.

იენში დაარბიეს სასურსათო სავაჭროები. ქალაქი დაიპირა რეიხსვერის ნაწილებმა, სწარმოებს მასიური დაპატიმრება მუშებისა.

მბეჭდავთა კავშირმა მოითხოვა ხელფასის დაწესება ოქროს ანგარიში—25 მარკა კვირაში. მომრიგებელმა კამერამ გადასწყვიტა მბეჭდავდა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს მხოლოდ 24 პროც. გაზეთების სტამბებში გაფიცვა გრძელდება. გამოდის მხოლოდ „ფორვერტსი“ და „დეიჩ ცეიტუნგი“, რომლის სტამბებშიაც მუშაობენ შტრეიკბეხრები. გამოდის აგრედვე კომპარტიის არა ლეგალური ორგანო. სახელმწიფო ქალალდების დასამზადებელ ექსპედიციაში, გენ. სექტის მუქარის გამო, მუშებმა ორშაბათს განაახლეს მუშაობა.

ტიურინგიის კომპარტიამ დაადგინა გამოვიდეს მთავრობიდან. აუწყებს რა ამ დადგენილებას მოწოდებაში, კომპარტია არცხვენს სოც.-დემოკრატიას.

დიუსელდოოფში მოხდა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია. ქალაქის თვითმართველობა იძულებული იყო უმუშევრებისათვის დაერიგებინა სურსათი, რათა დაემშვიდებინა ისინი.

საფრანგეთის მართებლობის დახმარებით სეპარატისტებმა დაიჭირეს ქალ. შპეიერი, რითაც საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში ჰფალცის ოლქი. გერმანეთის მართებლობამ პროტესტით მიმართა საფრანფეთის გენერალს დე-მეცს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტების მიერ დაკავებულ სახელმწიფო შენობებს იცავენ საფრანგეთის ჯარის კაცები-მაროკოელები.

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ გერმანეთის კრონ-პრინცი მოვიდა სილეზიაში 12 ნოემბერს. ღამე გაატარა გილდესგეიმში. მიუხედავად პირობებისა, რომ არ გაჩერებულიყო ბერლინსა და პოტსდამში, ბერლინში მისთვის მომზადებულია ბინა.

გერმანეთის კრონ-პრინცს ნებართვა დაბრუნებისა მიეცა უმთავრესად შტრეზემანის დაჟინებითი მოთხოვნით, რომელიც ამტკიცებდა, რომ კრონ—პრინცი საწინააღმდეგო გავლენას იქონიებს მიუნხენის მონარქისტებზე. შტრეზემანის წინააღმდეგ წავიდნენ მხოლოდ სოც.-დემოკრატები.

კარმა ბავარიის კომპარტია გამოაცხადა დაშლილად და აღკრძალა აგრედვე ყველა სოც.-დემ. გაზეთები.

ლიუდენდორფი იმყოფება „საპატიო ყარაულების“ ქვეშ“. მას მინიჭებული აქვს მიმოსვლის თავისუფლება.

გიტლერმა დატუსაღების დროს არ გაუწია არავითარი წინააღმდეგობა.

მიუნხენის ცნობით, ბავარიის ბურჟუაზია გიტლერის მხარეზეა—კარას საწინააღმდეგოდ. ქუჩებში აუარებელი ხალხი იყრის თავს და მსჯელობს მდგომარეობაზე.

რეიხსვერი დიდის გაჭირვებით აჩერხებს წესრიგის დაცვას.

შესდგა მასიური დემონსტრაციები კარის წინააღმდეგ და გიტლერისა და ლიდენდორფის საპატივცემლოდ. „მიუნხენერ ლოისტეს“ რედაქციაში ჩაამტვრიეს ფანჯრები, რადგანაც ეს გაზეთი გიტლერის გამოსვლის წინააღმდეგი იყო. სტუდენტთა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა კარს. გიტლერის მომხრეთა დასაფლავების დროს უნივერსიტეტის რექტორმა ნება დართო გამოეკიდნათ ჰოჰენცოლერნების დროშა.

საალყო წესების გამოცხადების გამო კარმა აღკრძალა ქუჩებში მოძრაობა საღამოს 8 საათის შემდეგ დილის 5 საათამდე. ფაშისტური ორგანოები აღკრძალულია.

პრესის წარმომადგენელთა კრებაზედ კარმა განაცხადა, რომ მან დაკარგა საზოგადოების თანაგრძნობა და დახმარება, მაგრამ, გიტლერის გეგმის შესრულება დღევანდელს პირობებში შეუძლებლად მიაჩნია. ლოსოვის განცხადებით, მან გააფრთხილა ლიუდენდორფი, რომ რეიხსვერი მხარს არ დაუჭერს აჯანყებას, მაგრამ ეს გაფრთხილება მხედველობაში არ იქნება მიღებული.

კობურგში ფაშისტური რაზმები სრულიად გამზადებული არიან ბრძოლისათვის.

ფაშისტების უმთავრესი შტაბი ბამბერგში გაცხოველებულ მოქმედებას აწარმოებს.

გერმანეთის აფიცერთა კავშირმა გამოუშვა მოწოდება, სადაც იგი კათეგორიულად უარჰყოფს ლიუდენდორფის სახელმწიფოებრივ დალატს.

მამულიშვილთა კავშირმა (ოფიციალური ორგანიზაციებს ჯერ არ გამოუცხადებიათ თავიანთი პოზიცია, მაგრამ „ფორვერტსის“ ცნობით, ბევრებენ უნდობლობა გამოუცხადონ ჯარის და ლიდენდორფს გიტლერს.

ტევტონთა გაზეთი „დეიჩე ცეიტუნგი“ აკრიტიკებს გიტლერს და აღნიშნავს, რომ იგი უნიჭოა მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის.

ბერლინში და მიუნხენში ავრცელებენ უსახელო პროკლამაციებს, რომლებშიაც ებერტსა, შეიდემანსა, ოსკარ კონსა, ბერნგარდტსა, თეოდორ კოლფსა და პაულ ლევის აცხადებენ კანონს გარეშე და თხოულობენ, რომ ცოცხალი, თუ მკვდრები მისცენ ტევტონთა ნაციონალურ მთავრობას ხელში.

ლონდონის ცნობით, ფაშისტურმა კავშირმა „ფატერლანდმა“ მიუნხენში კარს წარუდგინა ულტიმატიური მოთხოვნილება, რათა დაუყოვნებლივ გადადგეს კარლინგის კაბინეთი და გამოცხადდეს გიტლერის მომხრეთა ამნისტია, გარდა თვით გიტლერისა, ულტიმატუმი მოითხოვს აგრეთვე ბავარიის ლანდტაგის დათხოვნას.

ბავარიის სახალხო პარტია დემოკრატებსა და სოც.-დემ. ერთად მოითხოვს ლანდტაგის დაუყოვნებლივ მოწვევას. საეჭვოა, რომ ამ პირობებში კარი დასთანხმდეს ამ მოთხოვნილებას.

მიუნხენში დიდი აღშფოთებაა კარის წინააღმდეგ. 12 ნოემბერს ქუჩებში დადიოდნენ გიტლერის შეიარაღებული რიხმები. ჯერ შეუმოწმებელ ცნობებით, ფაშისტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება.

ახალ მოწოდებაში კარი აცხადებს, რომ მიუხედავად მიუნხენის უკანასკნელი ამბებისა, ლიუდენდორფი მაინც დარჩა „დიდ პატიოსან კაცად“, რომელიც შეცდომაში შეიყვანა გიტლერმა.

უკანასკნელი ამბების გამო კარის მდგომარეობა ძლიერ შეირყა.

ვეიმარიდან ბერლინში მიღებულ ცნობით, კომუნისტები გამოვიდნენ ტიურინგიის მთავრობიდან.

გენ. სექტამ უჯლება მისცა გერმანეთის ცალკე სახელმწიფოებს პროვინციებს გამოუშვან საკუთარი სტაბილიზაციის ვალიუტა.

მიუნხენში მდგომარეობა ისევ გამოურკვეველია, სჩანს 3 მიმდინარეობა: 1) ნაციონალ-სოციალისტების მოძრაობა გიტლერის მეთაურობით, რომელსაც ეკუთვნის სტუდენტების უმრავლესობა. 2) კარასა და ლოსოვის მომხრენი და 3) ბავარიის სახალხო პარტია, რომელიც კნილინგის კანონიერ მთავრობის პლატფორმაზედ სდგას.

კრონპრინცი ჩავიდა ელსში. „ნიუ-იორკ-გერალდის“ ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა დაკმაყოფილდება გერმანეთის მთავრობის განცხადებით, რომ კრონპრინცი არსად წავა თავის მამულიდან სილეზიაში და არავითარ მონაწილეობას, არ მიიღებს პოლიტიკაში.

საფრანგეთის მხრივ კი მოსალოდნელია მოთხოვნილება კრონპრინცის გერმანეთიდან გაძევების შესახებ.

ბერლინის ბაზარზედ ისევ იჩინა თავი სურსათის ნაკლებულობამ.

უცხოეთი

დაწვრილებითი ცნობები კრაკოვის აჯანყების შესახებ.

ვარშავა. 10 ნოემბერი. გაფიცვის პირველ დღეს ხდებოდა შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის. პოლიციის დასახმარებლად მოსული ცხენოსანი ნაწილები განიარაღებული იქნენ ნაწილობრივ ნებაყოფლობით, ნაწილობრივ კი ძალით და წაყვანილ იქმნენ ტყვედ. სასტიკი ბრძოლა შეიარაღებულ მუშებსა და ჯარებს შორის 4 საათს გაგრძელდა. მუშებს იარაღი ჩაბარა ქვეითა და ცხენოსან ჯარის ორმა ნაწილმა. ამის შემდეგ ჯარების უფროსმა გენერალმა ჩიკულმა გარნიზონი ქალაქიდან გამოიყვანა. მუშებმა სასწრაფოდ მოაწყვეს მილიცია.

კრაკოვში ჩამოვიდენ შინაგან საქმეთა მინისტრი ოლპინსკი და გენერალი ჟელიგოვსკი, რომლებმაც ჩააქრეს აფანყება.

მუშებმა ჩააბარეს იარაღი. მუშაობა განაახლა მუშების უმრავლესობამ, გარდა რკინისგზელებისა, რომლებიც მოითხოვენ სრულ ამნისტიას, დათხოვილი მუშების უკან მიღებას და გაფიცვის დღეების შრომის ხელფასის მიცემას.

დათხოვნილი მუშების უკან მიღებაზე უარის თქმამ ახალი აღელვება გამოიწვია მუშებში, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ რკინისგზელებს.

„გაზეტა ვარშავსკას“ ცნობით მუშები შეცვივდენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის კომიტეტის სხდომაზე და სცემეს პოლონელ სოციალისტ-შემთანხმებელ გოფმანს.

მუშების მღელვარებით შეშინებულმა შემთანხმებლებმა დეპეშით მიმართეს ვიტოსს აგრეთვე და ადგილობრივ ადმინისტრაციას მუშებისათვის თვალის სახვევად წასულიყვენ ზოგიერთ დათმობებზე. მთავრობა არ თანხმდებოდა არავითარ დათმობაზე და არ მალავდა განზრახვას, რომ სისხლში სურდა ჩაეღრჩო მუშათა მოძრაობა. პოლონელ სოციალისტ-შემთანხმებელთა ორგანომ „ნაპრშუდ“ მოათავსა დეპუტატ ნადზიალკოვსკის მოწოდება, რომელიც ურჩევდა მუშებს არ გამოეწვიათ სამოქალაქო ომი. გაზეთი გამოვიდა ტრაურულ არშიით მუშებთან

შეტაკების დროს დაღუპულ სამხედრო პირთა დასაფლავების გამო.

მთავრობამ ნება არ დართო ერთსა და იმავე დღეს დაესაფლავებიათ შეტაკებაში დაღუპული მუშები და სამხედრო პირები უკანასკნელნი მთავრობამ დიდის ზეიმით დაასაფლავა.

ქალაქში სიმშილია. სოფლიდან სურსათი არ შემოდის. მცხოვრებლები სჭამენ შეტაკების დროს მოკლული ცხენების ლეშს.

ანრი ბარბიუსი რუსეთის რევოლიუციის შესახებ.

ოქტომბრის რევოლიუციის მეექვსე წლის თავის გამო საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო პარიზში დიდი მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ბარბიუსმა და კაშენმა. „ორივე მედგარ მებრძოლს რევოლიუციის დიად საქმისათვის, სწერს გაზეთი „იუმანიტე“, პარიზის პროლეტარიატი დიდის აღტაცებით შეხვდა. მიტინგი დაიწყო კინოსურათების ჩვენებით. ხალხს უჩვენეს წითელი მოსკოვი და რუსეთის დიდ რევოლიუციის მოღვაწენი. ხალხი ტაშისცემით ეგებებოდა დიდ რევოლიუციის მოღვაწეთა სურათებს. შემდეგ ტრიბუნიდან წაკითხულ იქნა ერთი გვერდი ბარბიუსის ცნობილ რევოლიუციონურ რომანიდან „კლარტე“. ტრიბუნაზე ავიდა ბარბიუსი, რომელსაც ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. იგი მიესალმა რუსეთის რევოლიუციას და დიად ხალხს, რომელმაც შესძლო გაენთავისუფლებია თავის თავი ბატონებისაგან.

„წინეთ, სთქვა ბარბიუსმა, ჩვენ კაპიტალიზმს უყურებდით, როგორც აუცილებელ სიზმარს. ასისხლიანებულმა და იმედ დაკარგულმა რუსეთმა მისცა ძველ დროიდან დამარცხებულ ხალხებს ახალი მოძღვრება და ახალი რწმენა. რუსეთმა მარქსიზმიდან ბუნების ძალა შექმნა. მან გვიჩვენა, რომ დაჩაგრულ ხალხთა შორის არსებობენ მხოლოდ დაჩაგრულნი და დამჩაგვრელნი, გამარჯვებულნი და დამარცხებულნი. ამხანაგებო, უნდა გვქონდეს ორგანიზაციის და მოთმინების უნარი მოსამზადებელ სამუშაოს გასაკეთებლად. მსუბუქად, მოუმზადებლად არ უნდა ჩაებათ ბრძოლაში. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რის გაკეთება შეუძლია ადამიანს იმისათვის, რომ დავაჩქაროთ იმ საათის დაახლოვება, როდესაც პროლეტარიატის ბედი ჩვენ ხელში იქნება“.

შემდეგ ბარბიუსი შეეხო გერმანიის რევოლიუციას. მან მოუწოდა ამხანაგებს ძმურად მიესალმონ გერმანიის რევოლიუციონურ ხალხს. ბარბიუსი აღელვებით ლაპარაკობდა ამხანაგებზე, „რომელნიც თრთიან ძლიერ სურვილისაგან გაინთავისუფლონ თავისი თავი“. საფრანგეთის პროლეტარიატის მოვალეობაა „დააჩქაროს ძველი წესწყობილების სიკვდილი“, განსაკუთრებით ხელი შეუშალოს საფრანგეთის მთავრობას. გერმანიის ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატებისათვის დახმარების აღმოჩენაში. ისინი ამაოდ იბრძვიან მომავალ მსოფლიო რევოლიუციის წინაალმდეგ. ბარბიუსის უკანასკნელ სიტყვებს ხალხი ტაშისცემით შეეგება.

საბჭოთა რესპუბლიკებში.

პეტროგრადი. სახალხო განათლების განყოფილებამ მიიღო მიწვევა, მონაწილეობა მიიღოს ბელგიის პედაგოგთა საერთაშორისო ყრილობაზედ. აგრედვე წინადადება მიიღო „რუსეთის აღორძინების მეგობართა საზოგადოებისაგან“ მოაწყოს დანიაში პეტროგრადის სკოლებისა და საბავშო სახლების ბავშთა ნამუშევრების გამოფენა.

პროვინციის ცხოვრება

— **საბჭოთა ყრილობა აჭარისტანში.** ახლო ხანში მოწვეული იქნება აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა.

— **გემების მიმოხვლა.** სახელმწიფო ნაოსნობის გემები ზამთრის განმავლობაში მოვლენ ხოლმე კვირაში ორჯელ და არა ერთხელ, როგორც წინად იყო გამოცხადებული.

— **აჭარისტანის შუამდგომლობა.** აჭარისტანის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, რათა გლეხებს არ გადაჰხდეთ ის სიმინდი რომელიც მათ დაურიგდათ სათესლედ, სესხის სახით.

— **კოოპერატივების გაძარცვა.** ბათომში გაძარცვეს აჭარისტანის „ჩეკის“ კოოპერატივი. ბოროტმოქმედები ჩასულან ზემო სართულში მოთავსებულ ბინიდან და წაუღიათ რამდენიმე შეკრული სხვა და სხვა ტყავი.

ქობულეთიდან იტყობინებიან ბათომში, რომ იქ 6 ნოემბერს გაძარცვეს კოოპერატივი, რაიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიარდის საქონელი.

— დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიცემული მოწმობა მირ. სეფერთელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— დაკარგულ ცნობილ სეფერთელაძის დამთავრების მოწმობა № 173. ჩაითვალოს გაუქმებულად. პავლე თუმანიანი.

— **ვალიუტის კურსი.** 13 ნოემბერი.

ჩერვონეცი	106.000	მ.
სტერლინგი ეფექ.	99,000	„
ჩეკი.	94,000	„
დოლარი ფექ.	23,500	„
ჩეკი.	23,000	„
ოსმალური ლირა	11,800	„
საბჭოთა ფული	12,500	„

ᲐᲠᲘᲖᲘᲐᲕᲘ

ოთხშაბათს, ნოემბრის 14, საღამოს 6 საათ., პარტიულ ბიუროში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. გასარჩევია გადაუდებელი საკითხები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ

— **ცხენოსანთა ბრიგადის სკოლის შესაკეთებლად.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიეცეს კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადას სკოლების შესაკეთებლად ერთ მილიარდ ნახევარი მანეთი, ერთდროული დახმარების სახით.

— **ტფ. მილიციის დროშის დამზადება.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა დაამზადოს დროშა ტფ. მილიციისათვის.

— **ახალი წესები საჩაიე-სასადილოების გაღებისა.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა შემდეგი ახალი ცვლილება შეიტანა საჩაიე-სასადილოების გაღება-დაკეტვაში; საჩაიე-სასადილოები უნდა გაიღოს დილის 6 საათზე და დაიხუროს ღამის 10 საათზე, ხოლო კაფეები და საშაქარლამოები უნდა გაიღოს დილის 8 საათზე და დაიხუროს საღამოს 10 საათზე.

— **შენობებზედ გადახახადის აკრეფა.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა რომ სახლების გადასახადის შეტანის ვადა დაწესდეს 15 დღე უწყების ჩაბარების დღიდან, ხოლო საურავის დარიცხვა შოხდეს უწყების ჩაბარების დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

— **უმუშევართა გენერალური აღრიცხვა.** ხვალ 15 ნოემბერს შრომის ბირჟის შენობაში დანიშნულია ყველა სექციების უმუშევართა გენერალური აღრიცხვა, აღრიცხვის განმავლობაში უმუშევართა გამოცხადება დროებით მოხსნილი იქსება.

— **საბავშო თეატრი.** სკოლების გამგეებს დაევალათ მათდამი რწმუნებულ სკოლებში არსებულმა საბავშო ბაღებმა ახლო მონაწილეობა მიიღონ ცენტრალურ საბავში თეატრის მუშაობაში.

— **მცირე წლოვანთა უფლების დაცვა.** განათლების კომისარიატთან არსებულმა მცირე წლოვანთა უფლებების დაცვის განყოფილებამ მაზრების განათლების განყოფილებებს მოსთხოვა ანგარიშები, თუ როგორ სწარმოებს იქ ბრძოლა ბავშვების უპატრონოდ დარჩენის წინააღმდეგ.

— **ტფილისის ხაბჭოს არჩევნები.** ტფილისის საბჭოს უკანასკნელ პლენუმის სხდომამ დაადგინა: მუშათა და გლეხთა ტფილისის საბჭოს არჩევნები დაიწყოს 15 ნოემბრიდან.

— **მიწად-მოწყობის საქმე ტფილისის მაზრაში.** ივლის-სექტემბრის თვეების განმავლობაში დამთავრდა მიწად-მოქმედების საქმე 57,452 დესეტინის სივრცეზე.

— **დაბადებისა და სიკვდილიანობის რიცხვი.** „მმაჩის“ ცნობის თანახმად, ტფილისში იანვრიდან სექტემბრამდე დაიბადა—4957, გარდაიცვალა—2411.

— **რამდენი ბინაა დარჩენილი უწყალსადენოდ.** ქ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობის თანახმად, ტფილისში ამ ჟამად არსებობს 31,284 ბინა, რომელთაც არა აქვთ გაყვანილი წყალსადენი.

— **შრომის ბირჟა.** 12 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 18 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 47 უმუშევარი გაიგზავნა სამუშაოზე—35.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ოთხშაბათს, 14 ნოემბერს საღ. 7 საათზე მოწაფეთა თვითმართველობის წრის სხდომა. პარასკევს 16 ნოემბერს საღ. 7 საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა არა რუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლება.

საღ. 6 საათ. ქართული ენის წრის სხდომა არა ქართული სკოლებში ქართული ენის სწავლება. საღ. 7 საათ. ბუნებიმეტყველთა წრის სხდომა სომხურ ენაზე.

შაბათს 17 ნოემბერს საღ. 6 საათ. პოლიტ-ეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე. შაბათს საღ. 5 საათ. პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით. შაბათს საღ. 6 საათ. დოცენტის გ. ნათაძის ლექციები საზოგადო მეტყველებაში.

15 ნოემბერი საღ. 6 საათზე მეცადინეობა შუსლიმან წრეში.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ წინადადება მისცა სახ. უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტს გამოარკვიოს ურთიერთობა უნივერსიტეტის კლინიკებსა და ჯანმრთელობის საავადმყოფოების შორის.

— **ტეხნიკუმის გამგის დანიშვნა.** მე-12 ტეხნიკუმის გამგედ დაინიშნა გ. გეგელაშვილი.

— **საბავშო ჟურნალები.** სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა საბავშო ჟურნალები თავის შინაარსით დაუახლოვოს სკოლების პროგრამებს.

— **რუსუდან ნიკოლაძის დანიშვნა.** განათლების კომისარიატის სამხატვრო სალიტერატურო სექსიის კოლეგიის წევრად დაინიშნა რუსუდან ნიკოლაძე (პოლიაქტოვისა).

— **მხატვარ გაბაშვილის ნახატების გამოფენა.** მხატვართა კავშირს განზრახვა აქვს გაზაფხულზე, ტფილისში მოაწყოს ცნობილი მხატვრის გაბაშვილის სურათების გამოფენა. გამოფენილი იქნება გაბაშვილის თითქმის ყველა სურათები, დაახლოებით 200 ცალი.

— **ახალგაზრდა მხატვართა ნახატების გამოცემა წიგნათ.** ახალგაზრდა მხატვრების ერთი ჯგუფი შეუდგა ახალგაზრდა მხატვართა ნახატების წიგნის გამოცემას. წიგნში მოთავსებული იქნება რეპროდუქციები ფერადი საღებავით და დაიბეჭდებოდა საუკეთესო ქაღალდზე.

— **ლადო მესხიშვილის ძეგლი.** ლადო მესხიშვილის ძეგლის ამგები კომისია ამ ჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან ლადო მესხიშვილის ძეგლის ბრინჯაოსაგან გამოკვეთის შესახებ.

— **გორის მაზრაში:** სოციალურ უზრუნველყოფის და საურთიერთო დაეხმარე გლეხთა კომიტეტების არჩევნების საქმეებთან ახლო გასაცნობათ 13 ნოემბერს გორის მაზრაში გაემგზავრა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ხოძერიკი.

— **გვამის პოვნა.** 9 ნოემბერს კოჯრის გზატკეცილზე, ხევში აღმოჩენილი იქნა მოკლული კაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

— **დაჭრა.** 7 ნოემბერს მოქ. იოსებ არუთინოვმა მძიმედ დასჭრა მარუსია მელაშვილი, რომელიც იმ წამსვე გარდაიცვალა.

— **ბინის გაქურდვა.** 9 ნოემბერს ღამით გაქურდულ ელისაბედის ქუჩ. № 79 სახლში მცხოვრებ სოფიო მელიქ სატუროვის ბინა, საიდანაც წაღებულია ნივთები ღირებული 1 მილიარდ 350 მილიონ მანეთად.

— **ქურდის შეპყრობა.** 8 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. აბერკი ამროშიძე, რომელსაც ბრალად ედებოდა მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის ცენტრალურ საწყობის კანცელარიიდან საბეჭდავ მანქანის მოპარვის განზრახვა.

— **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 5 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. თათეოზ ოგაჯანოვი, რომელსაც ბრალად ედებოდა „ზარია ვოსტოკას“ კანტორაში სხვა და სხვა ბოროტმოქმედება, რაშიაც იგი გამოტყდა.

სალამი წითელ ამხანაგებს რევოლიუციის გუშაგებს!

მეგობარს ჭირში იცნობო.

ანდაზა.

დღეს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ირგვლივ ირაზმებიან მოსისხლე მტრები საბჭოთა ხელისუფლებისა, დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მოსასპობათ შინაური და გარეშე მტრები მხოლოთ და მხოლოთ ხმალს ლესენ, დღეს როდესაც უკანასკნელი საკითხია დასმული ორ მებრძოლთა შორის ან სიკვდილი ან გამარჯვება, ან ფაშიზმი ან კომუნიზმი, აი სწორეთ ამ დღეს საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია თავის მე-2 ყრილობაზე ადგენს ან სიკვდილი ან კომუნიზმი და პარტია მთლიანათ უერთდება საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

ვაშა ამხანაგებს!

ვაშა რევოლიუციის გუშაგებს!

მედგრათ ამხანაგებო! ჩვენ მივთივართ იქ, სადაც იჭედება თავისუფლება ერისა, ენისა, კულტურისა, შრომისა და სოციალიზმის.

მაშ გაუმარჯოს წითელ ამხანაგებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

თქვენთან ერთათ **ალექსანდრე ჩაჩხიანი.**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

გერმანეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ნაწილმა წერილობით განცხადება გამოუგზავნა საბჭოთა მთავრობას საიდანაც მტკიცდება, რომ ერთ ნაწილს კავშირი გაუწყვეტია „გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირთან“, „კავშირის ორ ნახევარი წლის საერთო მუშაობამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ საჭიროა უარვყოთ კავშირის ის შეურიგებელი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საქართველოში დღეს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ“, სწერენ ისინი. „ჩვენ ვიცით რომ მოღალატეობას დაგვწამებენ ემიგრაციაში მყოფ ქართველ სტუდენტთა საქმისადმი და ბოლოს ქართველ ერისადმი, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენი მოქმედება, სიტყვები არ გამოიწვევს გამოძახილს იმ სტუდენტთა ვიწრო წრეში, რომელიც თავისი მდგომარეობით იძულებულია იდგეს დახავსებულ ემიგრაციის იდეოლოგიის ნიადაგზე, მაგრამ ისიც ვიცით, რომ გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტობის უმეტესობა, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ სხვა და სხვა ჯგუფების გავლენის ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ შეიგნებს ჩვენი ნაბიჯის აუცილებლობას და აბოგვიდგება გვერდში ჩვენი საუკეთესო მომავლისთვის საბრძოლველად“.

„1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტობა მოკლებული იყო საშუალებას ობიექტიურად თავისი შეხედულება გამოეთქვა ამ ფაქტის შესახებ. სრულიად შემთხვევით ხელში ჩაუვარდა იგი ემიგრაციას, რომლის ერთი მთავარი მიზანთაგანი არის მტრული და შეურიგებელი განწყობილება შექმნას საბჭოთა ხელისუფლებასა და მის შორის. ემიგრაცია მთელი, ამ დროის განმავლობაში ავრცელებდა ტენდენციურ და ცალმხრივ ცნობებს საბჭოთა საქართველოს სინამდვილის შესახებ. იგი სთხზავდა ამბებს, რომელსაც სინამდვილესთან არ ჰქონდა კავშირი. ეს ცალმხრივი აგიტაცია უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც აქაურ ქართველ სტუდენტობას საბჭოთა საქართველოდან გადმოსახლებული სტუდენტობა მოემატა. მაგრამ ჩვენმა ნაწილმა შეიგნო სიყალბე ამ პოლიტიკისა და გამოეყო საერთო კავშირს. ქართველი სტუდენტობა უცხოეთში ფიზიკურათ სნეულდება და სდგას დიდ მორალურათ დაცემის საფრთხის წინაშე. იგი, მოკლებული კულტურულ კავშირს საქართველოსთან და საშუალებას, იძულებულია თავისი მძიმე შრომით გაიკაფოს გზა.

ჩვენ, ნაწილი ქართველი სტუდენტობისა, აუცილებლათა ვსთვლით საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობას, ჩვენ გვსურს ჩვენი აკადემიური ცოდნა—მუშაობის უნარი მშრომელ ხალხს მოვახმაროთ და მივიღოთ მონაწილეობა კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით. ჩვენ ვაცხადებთ ჩვენ თავს საბჭოთა მთავრობასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში და ვაღიარებთ მას, როგორც საქართველოს მთავრობას.

ჩვენ, დღეს ბერლინში შეკრებილი 1 ნაწილი ქართველი სტუდენტობისა, უსურვებთ რა საბჭოთა მთავრობას ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ერის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისათვის, გამოვსთქვამთ სრულ იმედს, რომ იგი გაგვიწევს ყოველგვარ დახმარებას სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

დროებითი გამგეობის დავალებით გამგეობის წევრი ყ. ყანდარელი.

ხაინიციატივო ჯგუფის წევრები.

1) **წულეისკირი ვლადიმერ**—ყოფ. მენშევიკი, 2) **ყანდარელი ლადო**—ყოფ. მენშევიკი, 3) **მახხულია ტარასი**—უპარტიო, 4) **ლეშკაშელი გიორგი**—ყოფილი ესერი· 5) **მაღლაკელიძე მიხეილ**—უპარტიო, 6) **ედიბერიძე**—უპარტიო, 7) **ქართველიშვილი**—უპარტიო, 8) **ინაშვილი**—ყოფ. მენშევიკი, 9) **ნადირაშვილი**—ყოფ. მენშევიკი, 10) **კანდელაკი არხიპო**—უპარტიო, 11) **ჯღარკავა**—უპარტიო, 12) **კოპალეიშვილი**—უპარტიო, 13) **თოფურიძე პეტრე**—კომუნისტი.

რეზოლიუცია, მიღებული ხაინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ სტუდ. საერთო კრებაზე.

1923 წ. სექტემბრის 23 ქ. ბერლინში მომხდარმა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ ქართველ სტუდენტთა საერთო კრებამ, იმსჯელა რა საქართველოს საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, დაადგინა:

1) ამიერიდან გერმანიაში არსდება: **საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი“.**

2) კავშირი სდგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და იმყოფება მთავრობასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში.

3) კავშირის დროებითი გამგეობას ევალება კავშირის ჩამოყალიბება და წესდების შედგენა.

4) კავშირის დროებით გამგეობას ევალება მიმართოს საქ. საბჭ. მთავრობას ოფიციალური წერილით, სადაც აღნიშნული იქნება მიზანი კავშირის დაარსებისა.

5) კავშირის დროებითი გამგეობას ევალება მოწოდება გაუგზავნოს გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტობას.

პროვინციის რ'მე-რუმე

ინტიმური ბარათები

1. **ფიქრების ატომები.** „კოსმიურ ყოფაში ყველაფერი მოჩვენებითია, რეალ ქანდაკებრივი არაფერი...

და რადგან ეს ჭეშმარიტად ასეა ჩვენ ულამაზესი მოჩვენებანი უნდა მივიღოთ ყოველთვის.

მწერს ერთი მეგობარი.

ჩემი პასუხი.

ჰკითხეთ კ. კაპანელს...

——

2. ქართული ანბანის შესასწავლად არ ვარგა ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“. არ ვარგა არც ზედგინიძის ახალი მეთოდი, ყველას სჯობია ჩემი, ამიტომ ავკრძალოთ ყველა კონკურენტი და „ბაზარზე“ გავბატონდეთ ჩვენ ჩვენი წიგნით.

სწერს ერთი ავტორთაგანი, ქართულ ანბანისა...

მე ძველ ქართულ ანდაზით უპასუხე „თავის ქება კიტრად ღირსთქო...

——

— ჩემს სკოლაში მოწაფეთ შორის მე შემოვიღე თვითმმართველობა...

შეიარაღებული რაზმები ფაბრიკა-ქარხნების ხელში ჩასაგდებად. კრაკოვში მიტინგებზე „პეპეესონები“ მოუწოდებენ გაათავონ გაფიცვა. კომუნისტები თხოულობენ გაფიცვების გაგრძელებას საბლოო გამარჯვებამდე. გაფიცული რკინის გზელები „პეპეესის“ ორატორებს მიტინგებზე მტრულად ჰხვდებიან.

„პეპეესები“ ჩაშალეს რა გაფიცვა, დაკმაყოფილდნენ სეიმში ინტერპელიაციის შეტანით, რომელშიაც მოითხოვენ მთავრობის გადადგომას.

ვარშავა. რკინის გზელები მეტად აღშფოთებული არიან გაფიცვის ჩაშლით, რადგანაც მუშებს არავითარი გარანტია არ მიუღიათ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. ვიტოსის დაპირება, რომ მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას ხელფასის შესახებ, მათ არ აკმაყოფილებს, რადგანაც ასეთი მოლაპარაკებან უკვე 50 თვეა, რაც სწარმოებს.

კომპარტია მიტინგებსა და კრებებზედ მოუწოდებს მუშებს გაფიცვის განგრძობისაკენ. „პეპეესი“ კი შეშინებული კრაკოვის ამბებით, მოუწოდებს მუშებს შესწყვიტონ გაფიცვა.

ვარშავა. კრაკოვის აჯანყების შესახებ განზრახულია გამოძიება აწარმოონ ფართო მასშტაბით. სამოქალაქო სასამართლოს წარმომადგენლების გარდა, კრაკოვში ჩავიდნენ სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელნი, გამოძიების საწარმოებლად სამხედრო ნაწილებში.

ახალი ამბები

— **შინაგან საქმეთა კომისარიატში.** სრ. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად, თიანეთის მაზრის გასანაწილებლად, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დანიშნა სპეციალური კომისია შემდეგის შემადგენლობით: შინაგ. საქ. კომისარიატის წარმომადგენლად იქნება ამხ. ფანიაშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლად—ამხ. რაფავა ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენლად—ამხ. ჟორჟოლაძე და განათლების კომისარიატიდან—ამხ. ნადარაია.

— **არც ერთი სტუდენტი აღწერის გარეშე.** სტუდენტების აღწერის ცენტრალური ბიურო აცხადებს, რომ სტუდენტების აღწერა გაგრძელდება 16 ნოემბრამდე. აღწერის გარეშე დარჩენილი სტუდენტები არ იქნებიან დაშვებულნი სასწავლებელში.

— **პროვინციაში მყოფ სტუდენტების საყურადღებოთ** ის სტუდენტები, რომელებიც იმყოფებიან პროვინციაში, ან მივლინებულნი არიან სხვა და სხვა დავალებათა გამო, უსათუოდ უნდა გამოცხადნენ ასაწერად 16 ნოემბრამდის, არავითარი მიზეზი აღნიშნულ დროზე გამოუცხადებლობისათვის არ იქნება მიღებული მხედველობაში.

— **9 წლიანი შრომის სკოლები ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ გახსნა 9 წლიანი შრომის სკოლები (ყოფილ რეალურ სასწავლებლის კურსით) შემდეგ ადგილებში: ქ. ხონში, სამტრედიაში, კულაში, ჯიხაიშში და ვანში.

— **შრომის სკოლების და ტეხნიკუმების გადაკეთება.** პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე შრომის სკოლები და პირველი და მეორე ჰუმანიტარული ტეხნიკუმები გადაკეთდა 95 წლიან შრომის სკოლებად.

— სამშაბათს 13 ნოემბერს საღ. 6 ს. დანიშნულია პოლიტეკონომის წრის სხდომა რუსულ ენაზე ამხ. ალაგართიანის ხელმძღვანელოებით. სამშაბათს, 13 ნოემბერს საღ. 6 ნახ. ს. ისტორიულ მატერიალიზმის წრის სხდომა ამხ. გეკერის ხელმძღვანელოებით. სამშაბათს, 13 ნოემბერს საღ 6 ს. საორგანიზაციო კრება წრეების, რომლების მეცადინეობენ ქართულ ენაზე ბუნების-მეტყველება გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკაში კომისიის მოხსენება მუშაობის გეგმის შესახებ.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს საღ. 7 ს. საზოგადოებრივ მეტყველობის წრე სომხურ ენაზე. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს საღ. 6 ს. სკოლებთან არსებულ საბავშო ბაღების ხელმძღვანელთა წრე ქართულ ენაზე. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს საღ. 7 საათ. მარქსისტული წრე სომხურ ენაზე ამხ. პოლოსიანის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, 20 ნოემბერს საღ. 7 საათ. ისტორიულ მატერიალიზმის წრის მეცადინეობა ამხ. გეკერის ხელმძღვანელობით.

— **გლეხთა კომიტეტების დანიშნულების გახამკიცებლად კვირეულების მოწყობა.** ნოემბრის 11 სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში, კომისარის ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით შესდგა კომისარიატის პასუხისმგებელ თანამშრომლების კრება, კრებამ ერთხმად დაადგინა საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების დაარსების საჭიროების და მათი დანიშნულების ფართო მასისთვის ახლო გასაცნობათ და საპოპულიარიზაციოთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მაზრებში მოაწყოს კვირეულები, ამ კვირეულების ჩასატარებლად კრებამ დადგენილებამ მიიღო დაიხმაროს ყველა საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციები და ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები;

— **მიწები საგლეხო კომიტეტებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე რათა საფონდო მიწები სოფლებში გადაეცეს საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების კოლექტიურად დასამუშავებლად.

— **სასკოლო ქსელის გამრავლება ქუთაისის მაზრაში.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, ქუთაისის მაზრაში სასკოლო ქსელის გაფართოებისა და მასწავლებელთა შტატების გადიდების შესახებ.

— **შრომის განყოფილებათა გამგეების და ინსპექტორების ყრილობა.** დეკემბრის დამლეს ტფილისში მოწვეული იქნება შრომის განყოფილებათა გამგეების და შრომის ინსპექტორების ყრილობა.

— **შრომის კანონის კოდექსის გამოცემა.** შრომის კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა შრომის კანონთა კოდექსის ოფიციალურად უკვე განმარტებულ მუხლების პრესაში გაშუქება და შემდეგ მათი ცალკე წიგნათ გამოცემა.

— **შრომის ბირჟა.** 10 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—38 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—64, გაიგზავნა სამუშაოზე—45.

— **უმუშევართა დაზღვევა.** ოქტომბრის განმავლობაში უმუშევართა დაზღვევის განყოფილების მიერ სხვა და სხვა დახმარების სახით გაცემულია—67 მილიარდი, 217 მილიონი და 511 ათასი მან. აქედან მარტო უმუშევართ მიეცათ 62 მილიარდზედ მეტი, დანარჩენი თანხა მოხმარდა გარდაცვალებულთ და სხვას.

— **ქურდობა.** 8 ნოემბერს გაქურდული იქნა კირკის ქ. № 2 სახლში მცხოვრებ მოქ. ტარიელ ქურქჩიანცის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები.

— **ბოროტმოქმედების თავდასხმა.** 9 ნოემბერს ლაზარევის ქუჩაზე ბოროტმოქმედნი დაჰხვდნენ მოქ. იაკობ ბაბილოიანცს, რომელსაც წაართვეს რამოდენიმე მილიონი მანეთი და სასიკვდილოდ დასჭრეს თავში.

— **ქურდის შეპყრობა.** მილიციის მიერ შეპყრობილი იქნა მოქ. გიორგი კომანი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. ვიაჩესლავ არუთინოვის ბინის გაქურდვაში, კომანი დანაშაულში გამოტყდა.

— **ბინის გაქურდვა.** 7 ნოემბერს გაქურდული იქნა ბებუთოვის ქ № 42 სახლში მცხოვრებ მოქ. ტალენკოს ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 500 მილ. მანეთად.

— **კომპოზიტორ ჩარკვიანის ხსოვნის აღსანიშნავად.** 17 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება დიდი კონცერტი კომპოზიტორ პ. ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 30 წლის თაეის აღსანიშნავად.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

ჩერვონეცი	103.000 მ.
სტერლინგი ეფექ.	965,00 „
ჩეკი.	93,000 „
დოლარი ეფექ.	22,200 „
ჩეკი.	20,500 „
ოსმალური ლირა	11,500 „
საბჭოთა ფული	13,500 „

პარტიაში

ოთხშაბათს, ნოემბრის 14, საღამოს 6 საათ, პარტიულ ბიუროში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. გასარჩევია გადაუდებელი საკითხები.

——

დღეს, სამშაბათს, ნოემბრის 13-ს საღ. 6 საათზე, ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის პლენუმის სასწრაფო სხდომა. ამხანაგებს ევალებათ დასწრება.

ტ. კ. მდივანი **გ. ხოფერია.**

პროვინციაში

ამონაწერი 1923 წ. ტფილისის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ანწერის დღიურიდან.

აგვისტო 30.

დიდ-გორისკენ გავემართენით. გზაში პატარა ბიჭი შემოგვხვდა, ცხვრებს და ხბორებს აძოებდა და საამური მთის წმინდა წკრიალა ხმით დამღეროდა. ასეთი სიმღერა არ გამიგონია...

პირველათ სოფ. დრე დამხვდა ჩემი მასპინძლის ოჯახი 27 სულისაგან შესდგებოდა. მასპინძელმა სიამოვნებით მიგვიღო მოგვცა ოთახი, რომელშიაც 200 კაცი დაეტეოდა. ოჯახის უფროსი ძალი ავათ იყო, ძმიმეთ ქმინავდა. ნაოფლი გაც�ებულიყო მკაში; ფილტვების ანთება ჰქონდა. თითონ ავადმყოფი ამბობდა რომ გულთან ეჭიდება. გახურებული ცხელი აგური დაედვათ გულზედ. სახე დასჭარხლებოდა ავადმყოფს, სიცხეს აეწია... არც ექიმი, არც უბრალო დახმარება... მეორე დილას უკანასკნელ წუთებში დავსტოვე მოხუცი და წამოველ პრიუტისაკენ.

2 ენკენისთვე.

... მოკლე გზამ ტყისკენ გამიტყუილა, გავჩერდი. დაბნელდა. მზის სხივებიც ნაკლებათ სწვდებოდნენ აქაურობას..

ბილიკს იჭით გულ-შემზარავი ხევი იყო, რომლის ძირიდა მოისმოდა გაშმაგებული მთას ცელქი მდინარის შხუილი...

ტირილის ხმა შემომესმა. პატარა ველზედ შევნიშნე ბიჭი; გავსწიე იმისკენ.

„ვაიმე ჩემო მცხვრებო, ვაიმე ჩემო ყოჩებო“ მოსთქვამდა ის...

ვიცან პატარა ბიჭი: გუშინ მცხვრებს და ხბოებს რომ აძოებდა ის ბიჭი იყო.

„ვაიმე ჩემო ყოჩებო, ვაიმე ჩემო ცხვრებო. ცხვრებო, ვინ დამლუპა“ კვლავ იმეორებდა პატარა წასულ ღამეს პატარა აწყენმს მგელი გადაჰპაროდ ეზოში, მცხვრები დაებრთხო, ღობიდან გადმოერეკა, ზოგი იქვე დაუხოცა ზოგიც გაერეკა ტყისკენ. დილით მდევარი დადევნებოდა, მაგრამ გატაცებული მცხვრები დახოცილი ენახათ. ჩამოვშორდი პატარ მწყემსს; დიდ-ხანს კიდევ მესმოდა: ვაიმე ჩემო ცხვრებო, ვაიმე ჩემო ყოჩო, ვინ დამწყეველა.

6 ენკენასთვე.

ტყეში, პატარა ბილიკის გვერდით უცნობს ეძინა. დავეხმაურე. უცნობი წამოდგა ის იქნება 60—65 წლ. თეთრი წვერით შემორილი, გატეხილ, დაქანცულ სახით.

„ვისი ხარ, შვილო მკითხა იმან, ტფილისიდან ვართ უპასუხე მე“.

„ჰო, აი, ხალხს რომ სწერამთ—კარგი და გამოგვიგა რამე საჩუქარი—გვეშველება რამ?..

...ერთი კვირაა დავდივარ—სასოფლო ცხვარი დაგვტაცეს, ჩემიც ერია ერთი მცხვარი, ისიც რი ვაგლახით ვიყიდე—სამლეთოთ მქონდა ხატისთვის შეთქმული, რაც ის მცხვარი დავკარგე სახლში ყველანი ავათ დავხდით წამოველ საძებნელათ—სოფლიდან კაცები დავგზავნეთ, არა ჩანს—რა, ტყუილათ ვიარე ეხლა სახლში მივალ, ახლო არის ჩვენი სოფელი, ამ ქედს იქით არის, ღოლოვანი ჰქვიან.

10 ენკენისთვე.

ჩემი თანამგზავრი უწყალოთ ურტყამდა საბრალო პირუტყვს კარგ მოზრდილ ჯოხს და თან ლანძღვას არ აკლებდა. ჩუმი პირუტყვი ხან ერთს მხარეს გაქანდებოდა, იქნებ უხეში ცემა როგორმე ავიცდინოვო და ხან მეორეს, „საქონლის ეგრე ცემა როგორ შეიძლება? შევეკითხე მე. —

„შე დალოცვილო მაშ ვირი რათა ჰქვიან—შეჩვეულიც არის, მაგისთვის ეს ცემა არაფერია.. საით მიბძრძანდებით? მკითხა მან.

ტაბახმელას.

საქმე რამე გექნებათ?

ისე—ცოტა რამ „უპასუხე მე.“

ჩამოცხა. შინელი ჩამომართო ჩემმა თანამგზავრმა და სახედარს გადაჰკიდა.

... ტაბახმელას, რომ მიველით მადლობა გადუხადე და გამოვემშვიდობე ჩემს თანამგზავრს.

„უკაცრაოთ, ცოტა რამ გასამრჯელო მერგება“.

რისა? შევეკითხე

აი შინელი რომ წამოგიღე.

რამდენი?

ერთი მილიონი, ან ეგ რა არის ეხლანდელ დროში?.

15 ენკენისთვე.

თქვენი გვარი?

შეეკითხა ერთი თანამშრომელთაგანი სოფ. ვარსანში (მცხეთის ახლოს) მცხოვრებს.

„წიკლაური, მიუგო იმან.

მთელი მანგლისის და პრიუტის თემები მოვენილნი არიან წიკლაურ-ბექაურებით.

წიკლა და ბექა წინეთ ძმები ყოფილან. ბექა უფროსი წიკლა უნცროს, უცხოვრიათ ანანურისკენ ორთავ განთქმულნი ყოფილან თავიანთ გმირობით და ვაჟკაცობით. მთელი მთიულეთი, თუშ-ფშავ-ხევსური იცნობდნენ და პატარ-პატარა ლექსებიც-კი გამოუთქვეს წიკლა უფრო წინ დახედული, დარბაისელი ყოფილა ბექაზედ. ბექა ამაყი გოროზი ჭაცრი სცდილობდა თავისი განზრახვა აესრულებინა, გინდ წინ გადასდგომოდა მთელი სოფელი. ბექამ უსიამოვნების დროს ხელის გარტყმით კაცი მემოიკლა. ურჩია წიკლამ მოშორებოდნენ მთიულეთს, რადგანაკ ხალხი შურის ძიებას აპირობდა. ბექა მოშორდა. წიკლამ თავი ვერ დაანება და გადმოსახლდნენ მანგლისის თემში. ჩქარა მოსწყინდათ, საბრძოლველი მოედანი დიდი იყო, მეომრები—კი არა სჩანდნენ. წაეკიდა ბექა წიკლას. ჯან-დან ვერ სძლია. იშიშვლეს ხანჯლები, მაგრამ ამოღებული ხანჯალი წიკლამ ისროლა. ისევ სამუდამოთ გაცლა ურჩია წიკლამ, ვინემ ერთ-მანეთის დახოცვა. ბექა დაიყაბულა. ცოცხალი შავი ძაღლი ძმებმა დაიჭირეს შუაში—ერთი ძმა ერთს მხარეს დადგა მეორე ძმა მეორედ, და ასე [illegible] ორათ...

ამ დღიდან [illegible] გახდნენ ერთმანეთისა [illegible] ცოლათ ეკუთვნოდნენ ბექას შვილებს და ბექას შვილები. წიკლას ბექასაგან წარმოსდგა გვარი ბექაური, ხოლო წიკლასგან წიკლაური. ასეთია ხალხის თქმულება.

16 ენკენისთვე.

დილის რიჟრაჟზედ წინ გადმიდგა პატარა ბიჭი და შორიდანვე ქუდი მომიხადა.

„გაიზარდე ქაჯან, ვისი ხარ“?

„ბეგრეთელი ვანოსი“.

მერე აქ რა გინდა, შევეკითხე.

მოჯამაგირეთ ვდგევარ, ლამის ხარს უდგევარ. მიპასუხა პატარამ.

მე განვაგრძე გზა.

„ძიავ, ჰაი ძიავ“ შემომესმა ხმა.

გავჩერდი. პატარამ მოირბინა.

„ძიავ. თუ ქაღალდი გაქვს გამიცვალე კაკალზე—ერთი ჩანახი მაქვს...

ქაღალდი რათ გინდა?

წერა-კითხვას ვსწავლობ, ამ სოფელში ერთი ერთი ბიჭია, ის გვასწავლის, ეგ ერის ქაღალდს ვერა ვშოულობთ...

პატარამ ამოიღო ჯიბიდან გაზეთის ნაგლეჯები, რომელზედ ფანქარით გამოყვანილი იყო ასოები; ის მცოდნე გამოდგა წერა-კითხვისა.

მთელი დღე ყურებში მიშრიალებდა პატარა ბიჭის ხვეწნა: „ძიავ, ჰაი ძიავ, თუ ქაღალდი გაქვს გამიცვალე კაკლებზედ.....“

გიორგი სუხიშვილი.

ხელოვნებაში

წარმოდგენა არ. ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად. ორშაბათს 12 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა წარმოდგენა რუსულ ენაზედ. წარმოადგინეს „არშინ-მალ-ალან“ მუსიკით და ცეკვით.

——

ს. მგალობლიშვილის იუბილე. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი, დამსახურებულ ბელეტრისტ ს. მგალობლიშვილს, უმართავს იუბილეს დეკემბრის შუა რიცხვებში.

——

დღეს თეატრებში

რუსთაველის თეატრში. დღეს, სამშაბათს 13 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში ს. ანტონოვის პიესა „ბზის დაბნელება საქართველოში“ 3 მოქმედებათ დადგმა კოტე ბარჯანიშვილისა.

——

სახელმწიფო ოპერა. დღეს, 13 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ, აგრედვე მომღერალ **ემილ-ვაგის** პირველ გამოსვლისათვის „ტოსკა“ 3 მოქ. მუსიკა პუჩინისა, მონაწილეობს აგრედვე მომღერალი ქალი ე. პანკრატოვი.

——

რუსული დრამა დღეს სახალხო სახლში რუსული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება შექსპირის პიესა „პირველული ცოლის მორჯულება“ პიესა დაიდგმება ორგინალურად. თანამედროვე ტანისამოსებში და დეკორაციებით. რეჟისორობს მსახ. ფორადოლინი.

——

„წითელი ჩანგი“. გამომცემლობა „წითელი ჩანგი“ შეუდგა რევოლიუციონურ ლექსების „წითელი ჩანგის“ გამოცემა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დავკარგე უვადო ბილეთი აღებული ქ. ბაქოში 1905 წლის აპრილში ელისაბედ გრიგოლის ასული მალაევის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

462

გაზეთი „ტრიბუნა“

ნ-ემბრის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო	
პირთათვის	9 000.000 „
ცალკე ნომერი	500.000 „

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 810 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოზენშტეინის ქუჩ № 4